საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 21 0000662888

02/07/2021

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის

66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 10 დეკემბერს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი №18463/01-06-03 (ცენტრში რეგისტრაციის - №1698411, №1700173, №1699842, №1700074, 11.12.2019) "მედიცინის " (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №45643 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 9 მარტის №206139 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 6, 7 და 8 აპრილს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 27 მაისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3.საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 18 ივნისს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, მიიჩნია, რომ მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს, როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 25 ხმით 0 წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.დაკმაყოფილდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "მედიცინის“ (ინგლისურენოვან) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "მედიცინის“ (ინგლისურენოვან) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 2 ივლისის №662563 სხდომის ოქმის № 2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით:

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია შემუშავდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი.

რჩევები:

- გადაიხედოს სწავლის შედეგებისა და ქვე-შედეგების ფორმულირება სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის რამდენიმე ციკლის შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ პროცესის თანმიმდევრულობა და კვლავწარმოებადობა.
- გათვალისწინებულ იქნეს სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და პერსონალის ოფიციალური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.
- მითითებულ იქნეს მეტი, ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ვებგვერდზე.
- შემუშავებულ იქნეს გზები, რომლითაც სტუდენტებს მიეცემათ პროგრამის სტრუქტურისა და შედეგების გააზრების შესაძლებლობა.
- როტაციების მასშტაბისა და ფარგლების შემდგომი დეტალური დაგეგმვა, რომელთა შეთავაზებაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების არჩევანის მხარდაჭერის სისტემასთან ერთად, თუ იარსებებს არათანაზომიერი მოთხოვნა. შემდეგ ეს დეტალი შეიძლება ოფიციალურად ჩაიდოს კლინიკებთან ხელშეკრულებებში.
- სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი მხარდაჭერა და თვალყურის მიდევნება, სამეცნიერო შედეგების გაზომვა და მისი ცვლილების ტენდენციებზე თვალყურის მიდევნება.
- სასურველია სტუდენტებს მიეწოდოთ უფრო დეტალური ინფორმაცია ინტეგრირებული კურიკულუმის განხორციელებისას, სწავლებისა, სწავლის და შეფასების მეთოდების შესახებ;
- არსებული შესაძლებლობები კარგია, თუმცა სამომავლო განვითარებისთვის, სამედიცინო ფაკულტეტს შუძლია ისარგებლოს ბიუჯეტის დაგეგმვის და ხარჯვითი ნაწილის უფრო მეტი მოქნილობით, სამომავლოდ ამბიციური გეგმების განხორციელებისათვის;
- დაწესებულება უნდა დაეყრდნოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ სწავლის შედეგებისა და სხვა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებისა და პროცესების - „თქვენ თქვით, ჩვენ გავაკეთეთ",მონიტორინგისუკვე შესრულებულ მაღალ ხარისხიან სამუშაოსრესურსების გაზრდით, რათა გაფართოვდეს მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. გარდა ამისა, ურთიერთშემოწმებასა და თემატურ ჯგუფზეშესრულებული სამუშაო მნიშვნელოვან სარგებელსმოუტანს მთელ კურიკულუმს.
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შეიძლება დასჭირდეს დარგის (მედიცინის) სპეციფიკასთან დაკავშირებული შეფასების სტრატეგია (მაგალითად, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების გასაუმჯობესებლად) დახარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შემუშავება საკითხებზე, რომლებიც განსხვავებული იქნება უნივერსიტეტისაგან და სპეციფიკური იქნება ფაკულტეტისათვის.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 18 ივნისს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა